

# სპორტიელი

საერთოული გაზეთი

სუთხაბათი 27 ივლისი 2000 №142 (1164)

ფასი 50 თეთრი



ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი.

## სრვენა ზვეზდა 4:0 ტორკედო

26 ივლისი. 23 საათი. ბელგრადი. „მარაკანა“. 25 000 მაყურებელი



# სრვენა ზვეზდა გასკლა მოიგო

## ტორკედოე ქუთაისის ნააგო

იხილეთ მეორე გვერდი

ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი პირველი მატჩები. 26 ივლისი

- შანტარი (უკრაინა) 4:1 ლევილია (ესტონეთი)  
1:0, 2:0, 3:0 ატლეინი (4, 16, 57), 4:0 ბელივი (72), 4:1 რიჩკოვი (79)
- ზიმბრუ (მოლდოვა) 2:0 მარიბორი (სლოვენია)  
1:0 კულივი (50მ), 2:0 ეპურეანუ (67)
- კაკა (ფინეთი) 0:0 ინტარი (სლოვაკეთი)
- სლავია (ჩეხეთი) 1:0 შამპირი (აზერბაიჯანი)  
1:0 ჟელენკა (38)
- ბრიონდგიუ (დანი) 3:1 რაიკიპიკი (ისლანდია)  
1:0 ბაგერი (14), 1:1 დანიელსონი (17), 2:1 ლინდრუბი (50), 3:1 მადსენი (84)
- კელსინგბორგი (შვედეთი) 0:0 ბატმა (ბელარუსი)
- გაშიშთაში (თურქეთი) 1:0 ლევისკი (ბულგარეთი)  
1:0 ნუმა (82)
- დინამო (რუმინეთი) 3:4 კოლონია (კოლონეთი)  
1:0 ლუბუ (73), 1:1 ვიეშჩიცი (25), 1:2 ოლისადაბე (35), 2:2 მიპალია (45), 2:3 ვი-  
ეშჩიცი (60), 3:3 ნიკულაე (63), 3:4 გოლაშევესკი (87)
- ანდერლესტი (ბელგია) 4:2 ანორტოსისი (კვიპროსი)  
1:0 ბასეჯიო (4), 1:1 პავლოვიჩი (9), 2:1, 3:1, 4:1 კოლერი (14, 27, 58), 4:2 პაპავასი-  
ლიუ (89)
- ჰაილუპი (სლოვაკია) 0:2 დუნაჟარი (უნგრეთი)  
0:1 ტოკოლი (57), 0:2 ლენდიელი (90)
- შტურმი (ავსტრია) 3:0 ჰაქოველი (თელ ავივი, ისრაელი)  
1:0 ვასტიჩი (13), 2:0 რაინმაირი (73), 3:0 ნოიკირხნერი (90)
- შელბურნი (ირლანდია) 1:3 რუსენბორგი (ნორვეგია)  
0:1 ბერგი (1), 0:2 ვინსენსი (13), 1:2 ფორანი (62), 1:3 ბელსევი (89)
- რაიფაერსი (შოტლანდია) 4:1 შალბირისი (ლიტვა)  
1:0 ჯონსტონი (14), 1:1 ფუტა (26), 2:1 ალბერტი (62), 3:1, 4:1 დოდსი (89, 90)

ინტერტოტოს თასი. ნახევარფინალი პირველი მატჩები. 26 ივლისი

- ზენიტი (რუსეთი) 1:0 ბრანდფორდი (ინგლისი)  
1:0 ტარასოვი (16)
- სიბეა (ჩეხეთი) 3:1 ბლზანი (ჩეხეთი)  
0:1 ტიხოტა (3), 1:1 პაპალი (13), 2:1 ვლჩევი (37), 3:1 მუხა (63)
- აუსტრია (ავსტრია) 0:1 უდინეჟე (იტალია)  
0:1 სოსა (44)
- შტუტგარტი (გერმანია) 1:1 სტანდარდი (ბელგია)  
0:1 მეისენი (60), 1:1 ტიაში (69)
- ოსარი (საფრანგეთი) 1:1 ვოლუსაბურგი (გერმანია)  
0:1 რიშე (21), 1:1 სებესკენი (62ს.კ.)
- სელტა (ესპანეთი) 1:0 ასტონ ვილა (ინგლისი)  
1:0 მაკარტი (89)



ტრვენა ზვეზდა — ტორკედო 4:0. მასპინძელთაგან საუკეთესო მიხაილო პიანოვიჩმა გაიტანა ხედაგიანი (№24) და მისი პარტნიორები გვარიანად გაამწარა

# ჩვენა პეტოქე მწვრთნელი შეიხვალა

## იენის ნახვად რეპინელაგ ბოლონი უთავადავს

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებს ლადისლაუ ბოლონის მომზადებული რუმინეთი მეზვედა — ემერის იენი ეროვნული გუნდის მწვრთნელი აღარაა.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით 47 წლის ყოფილი ნახევარმცველი ორი წლით იმუშავებს ახალ თანამდებობაზე, თუმცა კონტრაქტი თანამშრომლობის კიდევ ორი წლით გახანგრძლივებასაც ითვალისწინებს. ხელფასის შესახებ არაფერს იუწყებიან.

ფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილემ, კრისტიან ბივოლარუმ ხაზი გაუსვა, რომ ბოლონის გუნდის 2002 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასაყვანად დიდი მომზადების დრო არ აქვს.

ფეხბურთელობის წლებში რუმინელთა ახალმა მწვრთნელმა ნაკრებში 108 შეხვედრა ჩაატარა და 28 გოლი გაიტანა, ხოლო ბუქარესტის „სტიაუსა“ შემადგენლობაში 1986 წელს ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა. ამის შემდეგ იგი ცოტა ხანს ბელგისა და საფრანგეთის გუნდებში თამაშობდა, ხოლო 1992 წელს „ნანსიში“ მწვრთნელობას მიჰყო ხელი, საიდანაც სამშობლოში ახლად დაბრუნდა.

ბოლონის წინამორბედთან, იენისთან ოდინდელი ნაცნობობა აკავშირებს — 80-იან წლებში „სტიაუსაში“ მისი ხელმძღვანელობით თამაშობდა.

### საქართველოს ნაკრებისა და ქართული კლუბების ღირებულებებიან მატჩებსა წახს

| თარიღი     | ქალაქი      | მატჩი                                | ტურნირი        | მწვრთნელი          |
|------------|-------------|--------------------------------------|----------------|--------------------|
| 26.07.2000 | ბელგრადი    | ტრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ტორკედო | ჩემპიონთა თასი | დავით ყიფიანი      |
| 30.09.1999 | ათენი       | აეკ (საბერძნეთი) — ტორკედო           | უეფას თასი     | დავით ყიფიანი      |
| 16.09.1999 | თბილისი     | ლოკომოტივი — პაოკ (საბერძნეთი)       | უეფას თასი     | მურთაზ ხურცილავა   |
| 26.06.1999 | ფოთი        | კოლხეთი — ცემენტარნიცა (მაკედონია)   | 0:4            | ინტერტოტოს თასი    |
| 28.04.1999 | თბილისი     | საქართველო — ნორვეგია                | 1:4            | ევრო 2000-ის შეს.  |
| 14.10.1998 | ათენი       | საბერძნეთი — საქართველო              | 3:0            | ევრო 2000-ის შეს.  |
| 29.09.1998 | თბილისი     | დინამო — ტილბურგი (ჰოლანდია)         | 0:3            | უეფას თასი         |
| 15.09.1998 | ტილბურგი    | ტილბურგი (ჰოლანდია) — დინამო         | 3:0            | უეფას თასი         |
| 19.08.1998 | კიევი       | უკრაინა — საქართველო                 | 4:0            | ამხანაგური         |
| 29.07.1998 | ბელგრადი    | ტრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — კოლხეთი | 7:0            | უეფას თასი         |
| 22.07.1998 | ფოთი        | კოლხეთი — ტრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 0:4            | უეფას თასი         |
| 21.10.1997 | ბრაგა       | ბრაგა (პორტუგალია) — დინამო          | 4:0            | უეფას თასი         |
| 13.08.1997 | ლევერკუზენი | ბაიერი (გერმანია) — დინამო           | 6:1            | ჩემპიონთა თასი     |
| 14.06.1997 | კატოვიცი    | პოლონეთი — საქართველო                | 4:1            | მსოფლიო 98-ის შეს. |
| 29.10.1996 | პორტუ       | ბოაფიშტა (პორტუგალია) — დინამო       | 5:0            | უეფას თასი         |
| 26.09.1996 | ეინდჰოვენი  | ჰსე (ჰოლანდია) — ბათუმი              | 3:0            | თასების თასი       |
| 24.07.1996 | ზესტაფონი   | მარგვეთი — შლემა უონდერერსი (მალტა)  | 0:3            | უეფას თასი         |
| 24.04.1996 | ბუქარესტი   | რუმინეთი — საქართველო                | 5:0            | ამხანაგური         |
| 28.09.1995 | გლაზგო      | სელტიკი (შოტლანდია) — ბათუმი         | 4:0            | თასების თასი       |
| 06.09.1995 | ნიურნბერგი  | გერმანია — საქართველო                | 4:1            | ევრო 96-ის შეს.    |
| 27.09.1994 | ინსბრუკი    | ტიროლი (ავსტრია) — დინამო            | 5:1            | უეფას თასი         |
| 11.06.1994 | იბადანი     | ნიგერია — საქართველო                 | 5:1            | ამხანაგური         |

REUTERS ბელგრადიდან





















# ლუის სიეტლზე გული მოუბრუნდა

1 აგვისტოდან ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის თავისუფალ აგენტებს ოფიციალურად მიეცემათ ამა თუ იმ კლუბთან კონტრაქტის გაფორმების უფლება. მანამდე კი მიმდინარეობს მოლაპარაკებები, სადაც მოთამაშეები და კლუბები ერთმანეთს სიტყვიერად უთანხმოებენ. ზოგიერთმა კალათბურთელმა თავის ბედი უკვე გამოარკვია და მხოლოდ 1 აგვისტოს უცდის, რათა კლუბთან სიტყვიერი შეთანხმება ხელმოწერილ კონტრაქტად აქციოს.

ამგვართა შორისაა ფორვარდი რამზარ ლუისი, რომელმაც წინა ორი სეზონი „სიეტლ სუპერსონიქსში“ გაატარა. კალათბურთელი ამჟამად შინ, პიუსტონში იმყოფება და სწორედ იქ განაცხადა, რომ კვლავ „სიეტლში“ დარჩება. ლუისის თქმით, ეს გადაწყვეტილება საბოლოოა, უბრალოდ, შესათანხმებელია მომავალი კონტრაქტის წვრილ-წვრილი დეტალები.

ლუისს, ისევე როგორც „სიეტლ სუპერსონიქსს“, შარშან მეტად არათანაბარი და არასტაბილური სეზონი ჰქონდა. 21 წლის კალათბურთელმა რამდენიმე შეხვედრა სასტარტო ხუთეულშიც დაიწყო, მაგრამ საშუალოდ კი 8,2 ქულას და 4,1 მოხსნას აკეთებდა. ლუისმა სეზონის და კარიერის საუკეთესო მაჩვენებელი 9 თებერვალს ითამაშა „დალას მავერიქსის“ წინააღმდეგ. მისი მონაგარი 30 ქულა და 12 მოხსნა იყო. ამისთანავე, რამზარდი კიდევ მესამე მატჩში გადასცა 20-ქულიან ზღვარს.

იყო ჩავარდნებიც, რომლებმაც „სუპერსონიქსში“ სიტუაცია დაძაბა და ლუისს ამ გუნდზე გული აუყარა. მარტში, ერთ-ერთი მატჩის შემდეგ გუნდის ლიდერმა გერი პეიტონმა და სათადარიგო უკანასკნელმა ვერნონ მაქსველმა გასახდელში იჩხუბეს. პორას

გრანტი და ჩაკ პერსონი მთ გაშველებას შეეცადნენ, მაგრამ საბოლოოდ იმდენი მოხვდათ, რომ დაშავდნენ და რამდენიმე შეხვედრა გამოტოვეს. მაშინ ლუისი ძალიან გაბრაზდა ამ ფაქტის გამო, მაგრამ, ჩანს, წყენა დაივიწყა.

ლუისის შენარჩუნება „სიეტლ სუპერსონიქსის“ ხელმძღვანელობასაც სურს. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ველი უოლკერმა აღნიშნა, რომ რამზარდის დატოვება „სიეტლისთვის“ უპირველესი ამოცანაა. მისივე თქმით, მწვრთნელი პოლ ვესტფოლი ლუისს როგორც ფრთად, ისე მსროლელად ათამაშებს.

სანამ სიეტლში გაფრინდება, ლუისი პიუსტონში ყოველდღე ვარჯიშობს: „ჩემი ნაკლის გამოსასწორებლად ბევრს ვშრომობ. გასაუმჯობესებელი მაქვს ბურთის ტარების ტექნიკა და დრიბლინგი“. იმასდა დაემატა, რომ 1998 წელს, 19 წლის ლუისი, უნივერსიტეტის გვერდის ავლით, პირდაპირ სკოლის მერხიდან მივიდა „სიეტლ სუპერსონიქსში“.



რამზარ ლუისი

| თავისუფალი აგენტები, რომლებიც სიტყვიერად შეთანხმდნენ კლუბებს |                    |                    |
|--|--------------------|--------------------|
| მოთამაშე   | ძველი კლუბი        | ახალი კლუბი        |
| ტიმ ტომასი   | მილუოკი ბაქსი      | მილუოკი ბაქსი      |
| ჯონ ამაეჩი   | ორლანდო მეჯიკი     | ორლანდო მეჯიკი     |
| გრანტ ჰილი   | დეტროიტ პისტონზი   | ორლანდო მეჯიკი     |
| ტრეისი მაკგრეიდი   | ტორონტო რეპტორზი   | ორლანდო მეჯიკი     |
| ბენ ვოლესი   | ორლანდო მეჯიკი     | დეტროიტ პისტონზი   |
| რამზარ ლუისი   | სიეტლ სუპერსონიქსი | სიეტლ სუპერსონიქსი |
| ტიმ დანკანი  | სან ანტონიო სფურზი | სან ანტონიო სფურზი |
| ტონი დელკი   | საკრამენტო         | ფინიქს სანზი       |

## ავროპული აგენტები

### საბერძნეთი

#### პანათინაიკოსმა აგენტებს ოცნება ჩაუხარა და გაუხარებდა დააპირა

დიდი ფანტაზიური ფიფია რუსეთის ნაკრების ფორვარდი რუსლან ავლევეი. 24 წლის და 198-სანტიმეტრიანი კალათბურთელს წლეულს დაუმთავრა სამწლიანი კონტრაქტი ცაზანის „უნიქსთან“ და თავისუფალ აგენტად იქცა. ავლევემა დიდი ამბით განუცხადა რუსულ მედიას: საქმე ამოსარჩევად მაქვს, ათენის „პანათინაიკოსი“ და სტამბოლის „ფეფსი“ მეპატიჟებიან, თუმცა ბერძნულ კლუბში თამაში მირჩენია და ალბათ იქ გადავალ. კალათბურთელის თქმით, „პანათინაიკოსი“ მას სამწლიან კონტრაქტს სთავაზობდა, რაც რუსს არ მოსწონდა. ჩემთვის მხოლოდ ორწლიანი ხელშეკრულება იქნება მისაღები — აღნიშნა ავლევემა. ერთი სიტყვით, რუსლანი რუსეთის ნაკრებთან ერთად შვეიცარიაში საბერძნეთში გაემგზავრა და იმედოვნებდა, რომ „პანათინაიკოსთან“ კონტრაქტსაც იქ ფიფის დროს გააფორმებდა.

რუსის შესაძლო ტრანსფერის შესახებ „პანათინაიკოსის“ იუგოსლავიელ მწვრთნელ ველკო ობრადოვიჩის დაკითხვებზე მისი პასუხი მოკლე იყო: „ავლევეი არ არის იმ დონის კალათბურთელი, „პანათინაიკოსში“ რომ ითამაშოს. თანაც, იგი პიროვნულად არ მომწონს“. ამ სიტყვების მერე ერთობ მწველი დასაჯერებელია რუსის ათენურ გუნდში გადასვლა. არის კიდევ ერთი ვარიანტი, რაც

ავლევეის „პანათინაიკოსში“ მისვლას აფერხებს. საბერძნეთის გუნდებს მოედანზე ორზე მეტი უცხოელის გამოყვანა არ შეუძლიათ. უცხოელად კი ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეების გარდა ყველა ითვლება, მათ შორის აღმოსავლეთევროპელებიც. „პანათინაიკოსს“ ორი აღმოსავლეთევროპელი (ესე იგი, უცხოელი) უკვე ჰყავს: იუგოსლავიელი დეიან ბოდირივა და ველკო რებრაჩა. ესენი კი იმ დონის მოთამაშეები არიან, რომ არათუ ავლევეს, რუსეთის ყველა კალათბურთელს ერთად აღებულს დაჩრდილავენ. ასე რომ, ავლევეის და „პანათინაიკოსის“ სურვილი ერთმანეთს არ დაემთხვა.

ამასობაში „პანათინაიკოსმა“ მოლაპარაკება დაიწყო ამერიკელ ფორვარდ დერილ მიდლტონთან. საბერძნეთის ჩემპიონატში ამერიკელებიც უცხოელებად ითვლებიან, მაგრამ მიდლტონს ჯიბეში ევროკავშირის პასპორტი უდევს — ცოლი ესპანელი ჰყავს და ამ ქვეყანაში მხოლოდ მოქალაქეობა აქვს მიღებული. ამდენად, იგი საბერძნეთში უცხოელად არ ჩათვლება. სხვათა შორის, მიდლტონი შავკანიანია, ხოლო შარშანდელი ევროლიგის ჩემპიონი „პანათინაიკოსი“ წინა სეზონში ლამის ერთადერთი ევროპული გუნდი იყო, რომელშიც მხოლოდ თეთრკანიანები თამაშობდნენ.

**გსურთ ხელმისაწვდომი ფასებში მაღალპროფესიული იურიდიული მომსახურება?**

მამ, ეწვიეთ ფირმა „პრევედენტს“, რომელიც მდებარეობს ვერაზე, სასტუმრო „საქართველოს“ მოპირდაპირე მხარეს, შელიქიშვილის №7.

ტელ: 29-29-46, 52-64-25 (საღამოს), 8 99 56-00-50

პერლა Perla
კ ე რ ლ ე
პერლა Perla

## მ ა რ ბ ა ლ ი ტ მ ბ ი ს მ ა დ ა ზ ი ა

**კოსტავას 47**












|   |   |
|---|---|
| <b>დანია</b>                                | <b>სლოვაკია</b>   |
| გალადეზული<br>მატრი<br>პირფილზე 2:3 ოლგორგი | გალადეზული მატრეგი<br>ლილასტრიონი 3:3 პოდოი გლინი<br>ვოლერინა 2:0 ჰაუგასუნდი<br>მულდი 1:3 ბრანი |
| <b>ავსტრია</b>                              |   |
| IV ტური<br>ბრეზენცი 1:1 რაპიდი              | თასის მარკველინილი<br>სტარტი 3:2დ.დ.(2:2) ტროსიო  |

# დასაქმებული ქალი

როდესაც გაუქვაცი ეცემა, კოჭლობს და ტკივილებისგან იტანჯება, ეს წშირად ბუნებრივიცაა, მაგრამ ქალი? აი, გერმანელი 1500 მეტრზე მორბენალი კატლენ ფრიდრიხი, როგორ გამოვიდა ძირს სვეტლანა მასტეროვასგან მოგებულ დისტანციის ფინიშთან ბარსელონის სამძლეოსნო ტურნირზე. ურიგო სანახავია...




# მუვიდობის იალქნები

მახტმში ბოსფორის ხიდქვეშ გადიან. თურქეთი და საბერძნეთი ერთმანეთს შუა ამოზრდილ ყინულს აღლობენ და ეს სანახოსნო ამბავიც ამ საქმეს ეხმარება. თურქული და ბერძნული იახტკლუბების მიერ გამართულ შეჯიბრში, ამ ორი ქვეყნის ნაოსნებთან ერთად რუსები და უკრაინელებიც მონაწილეობენ.



# მაინს ააშენეს

ოლიმპიური ხირაღდნის ასდღიანი მოგზაურობა ავსტრალიის მიწაზე. ზუსტად 15 სექტემბერს ხირაღდანი სიდნეიში ჩავა, მანამდე კი იგი ხან მეცხვარე ჯონათან ტერნბულის ფერმაშია, ხან დიდი ოლიმპიელის, სერ ჰუბერტ ოპერმანის ქანდაკებასთან როჩესტერში, ვიქტორიას შტატში. ამასობაში კი სიდნეიში სამუშაოთა ბოლო ეტაპი გახურებულა. ვახსოვთ რა ამბავი იყო ბონდი ბიჩზე? „სარბიელის“ ბოლო გვერდზე არაერთხელ დაგვიბეჭდავს იმ მომიტინგეთა ფოტოები, ვინც საყვარელი პლაჟის, სწორედ ამ ბონდი ბიჩის „დამახინჯების“ წინააღმდეგ იყო. დამახინჯებელი კი აი, ეს პლაჟის ფრენბურთის სტადიონი გახლდათ. როგორც ხედავთ, მაინც ააშენეს.



**სარბიელი**  
საორტული გაჯათი  
გამოიცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის სამუხაბათს,  
ოთხმუხაბათს, ხუთმუხაბათს,  
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოცხვირა  
ლირექტორი გიორგი ოძრომჭაღლიძე  
რედაქტორი თამაზ მიგრიაული  
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი  
ავთანდილ ბურასაშვილი  
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბუჩქაძე  
რუსული ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ ბულიაშვილი  
ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი სოსო კორტრაპიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი  
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქტორი ქართული განყოფილება კობა ინასარიძე,  
მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება

გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქრო-პირიძე; ინფორმაციის რედაქტორი ვია ასალაძე, დავით გულუა, ირაკლი თაყაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბოზანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კანა თალაკვაძე ტრისტან კახურაშვილი, ნინო კეღელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შილაშვილი, გიორგი ზარატიშვილი  
გამომცემი ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
ყაზაგის გამზირი 42, II  
ქორაუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი — 79, საფოსტო  
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarbieli@iberiapac.ge  
ელექტრონული ვერსია  
<http://www.sarbieli.com.ge>